MES 3 21 0000190942

04/03/2021

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ახალი კორონავირუსის ინფექციის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა ჩატარდა ონლაინ რეჟიმში **2021 წლის 17 თებერვალს.**

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ.

Join Zoom Meeting
https://us02web.zoom.us/j/84516780059?pwd=eTFHaE82OUdZcXZydDhkb0hwQmtyZz09
Meeting ID: 845 1678 0059

საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში-საბჭო) წევრები:

ნანა ყუფუნია - შპს „თბილცემენტ გრუპის“ ადამიანური რესურსების მართვისა და ორგანიზაციული განვითარების პროექტის ხელმძღვანელი, საბჭოს თავმჯდომარე;
შორენა ჯაფარიძე - პროფესიული განათლების ექსპერტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
მარიამ ჩაგელიშვილი - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროგრამის „კერძო სექტორის განვითარება და პროფესიული განათლება სამხრეთ კავკასიაში“, ექსპერტი;
ნინო კაკულია - სსიპ - აწარმოე საქართველოში, ინვესტორებთან ურთიერთობის მენეჯერი;
გიორგი ხიშტოვანი- ა(ა)იპ პი ემ სი კვლევითი ცენტრის კვლევითი მიმართულების დირექტორი;
ნინო ველთაური - სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დირექტორი;
დეა აბულაძე - სსიპ - ახალგაზრდობის სააგენტოს პროგრამების მართვის დეპარტამენტის „ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობის პროგრამის“ ქვეპროგრამის - „ახალგაზრდული საქმიანობის განვითარების ხელშეწყობა“ - პროგრამული განვითარების კოორდინატორი;
ქრისტინა რზგოევა - სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს იურიდიული სამმართველოს უფროსი;
ნატალია კვაჭანტირაძე - საქართველოს ტურიზმის ასოციაციის თავმჯდომარე;
მაგდა ბოლოთაშვილი - სსკ - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის გენერალური დირექტორის მოადგილე, საბჭოს მდივანი;
რუსუდან გიგაშვილი - ა(ა)იპ - აგრო დუოს თავმჯდომარე;
სერგო ნოზაძე - ადამიანური რესურსების მართვის პროფესიონალთა ასოციაციის პრეზიდენტი;
მარიამ ქუჩულორია - ა(ა)იპ ევროპული ბიზნეს ასოციაციის გენერალური დირექტორის მოადგილე.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში -ცენტრი) წარმომადგენლები:

ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ქეთევან ციხისელი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მოადგილე;
ნინო სტეფანიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „არსი“:
ნათია ნოზაძე- დირექტორი.

სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯი:
თეიმურაზ ლორთქიფანიძე - დირექტორი,
ნინო ძაგანია - ხარისხის მართვის მენეჯერი,
ნინო ელისაშვილი - მთავარი ბუღალტერი,
ნინო გულბიანი - სასწავლო პროცესის მენეჯერი.

პროფესიული განათლების ავტორიზაციის ექსპერტები:
დავით კუპატაძე,
მზია ბაკურიძე,
ნინო ხაჩიძე,
თამილა გრძელიშვილი,
ლევან მადათოვი,
ნინო ბალანჩივაძე.

საბჭოს სხდომა დაიწყო - 16:20 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულებების წარმომადგენლებს. მან განცხადება გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიოჩაწერა და აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს. რამდენადაც ფოტო და ვიდეოგადაღება ნებართვის გარეშე აკრძალულია, ამიტომ, ცენტრის წარმომადგენელმა ითხოვა ფოტოგადაღების ნებართვა ცენტრის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში გამოსაქვეყნებლად, რაზეც მიიღო დამსწრეთა თანხმობა.
თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

დღის წესრიგი:

1. შპს - „არსისთვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის -„ფარმაცია (სააფთიაქო)“ დამატების შესახებ საკითხის განხილვა
2. სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „მასაჟისტ-რეაბილიტატორი“ განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა
3. სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „ბეჭდური და ონლაინ გამოცემების რეპორტიორი“ განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა
4. სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „მწვრთნელი“ განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა
5. სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „სამთო გამყოლი“ განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, ხომ არ იყო რაიმე შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით, რაზეც ცენტრის პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნანი დალაქიშვილმა განაცხადა, რომ აქვს შუამდგომლობა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წინაშე2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" (შემდგომში დებულება) 54-ე მუხლის მოთხოვნებიდან გამომდინარე, კერძოდ, ამ ეტაპზე, საქმე ეხება სსიპ კოლეჯ „ლაკადას“, რომელსაც მიმდინარე წლის 18 იანვარს სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრიდან (შემდგომში ცენტრი) გაეგზავნა №7147 წერილი მონიტორინგთან დაკავშირებით, რომლის პასუხად, დაწესებულებას 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" (შემდგომში დებულება) 54-ე მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების საფუძველზე ამ კორესპონდენციის გაცნობიდან 15 კალენდარული დღის ვადაში, ცენტრში უნდა წარმოედგინა საბჭოს შუამდგომლობით საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების/მონიტორინგის საფასური. მონიტორინგი დაწესებულებას ჩაენიშნა 2020 წლის 2 აგვისტოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დღის წესრიგით მეოთხე, მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე საკითხად განხილული საკითხების ფარგლებში საგანმანათლებლო პროგრამების მეორე სტანდარტის 2.2 კომპონენტის შესამოწმებლად (სხდომის ოქმი N 655086).
ავტორიზაციის დებულების 54-ე მუხლის მე-6 პუნქტის მიხედვით, ,,დაწესებულებამ, კორესპონდენციის გაცნობიდან 15 კალენდარული დღის ვადაში ცენტრში უნდა წარმოადგინოს საბჭოს შუამდგომლობით საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების თაობაზე საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი. ამ ვადაში საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში, საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტ(ებ)თან შესაბამისობის დადასტურების შეუძლებლობის გამო, საბჭოს მიერ შესაფასებელი საკითხები სტანდარტ(ებ)თან მიმართებით შესაძლებელია შეფასდეს როგორც „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“ და ცენტრის შუამდგომლობით საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება დაწესებულებისათვის ავტორიზაციის გაუქმების შესახებ".
დაწესებულებისგან, 2021 წლის პირველ და სამ თებერვალს შემოვიდა საპასუხო წერილები (ცენტრში რეგისტრაციის №47906, №57855 და №57831). № 57855 წერილს თან ახლდა საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების თაობაზე საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომლითაც, ისევე, როგორც ცენტრის საფინანსო სამახურიდან მიღებული ინფორმაციიდანაც დასტურდებოდა, რომ

დაწესებულების მიერ გადახდილი მონიტორინგის საფასურის შესაბამისი თანხის ასახვა ცენტრის ანგარიშზე მოხდა 2021 წლის 3 თებერვალს, წერილის გაცნობიდან არა მე-15-ე, არამედ, მე-16-ე დღეს.
სამსახურმა, მიმდინარე წლის 8 თებერვალს (წერილი №72433) მიმართა კოლეჯს და მოითხოვა განმარტება, თუ რატომ მოხდა ცენტრის ანგარიშზე თანხის ასახვა 2021 წლის 18 იანვრის №7147 წერილის გაცნობიდან არა მე-15, არამედ, მე-16 დღეს. 9 თებერვალს კოლეჯიდან ცენტრმა მიიღო წერილი (№78157 9/02/2021), შემდეგი განმარტებით: „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წერილთან დაკავშირებით, გვინდა გაცნობოთ, რომ დაწესებულებამ ქვეყანაში არსებული მძიმე ეპიდემიოლოგიური ვითარებისა და მასთან დაკავშირებული შეზღუდვების პირობებში, ავტორიზაციის პირობების შესრულებისა და სტანდარტის შესაბამისობის დადგენისათვის, განახორციელა აუცილებელი ღონისძიებები. რაც შეეხება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ანგარიშზე თანხის ასახვას, ფინანსურ ოპერაციებს ვახორციელებთ სახელმწიფო ხაზინის მეშვეობით, ვალდებულება აღებულ იქნა 1 თებერვალს, რაც შეეხება საგადახდო მოთხოვნას, გაგზავნის თარიღისა და ხაზინის თანამშრომლებთან კომუნიკაციის მიუხედავად თანხა განსაზღვრულ დროში ვერ აისახა. აქვე გთხოვთ გაითვალისწინოთ შემდეგი გარემოება: მსგავსი გადარიცხვები ხორციელდებოდა უმოკლეს დროში, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ფინანსური ოპერაციების განმახორციელებელი პირი გადიოდა კოვიდინფიცირების შედგომი პერიოდის გართულებებთან დაკავშირებულ მკურნალობის კურსს, რამაც, სავარაუდოდ, გამოიწვია შეფერხება. გთხოვთ, აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები გაითვალისწინოთ და არ ჩათვალოთ ჩვენი შემთხვევა ავტორიზაციის დებულების 54-ე მუხლის მე-6 პუნქტის დარღვევად. დაგვრთოთ ნება დავადასტუროთ ავტორიზაციის სტანდარტთან შესაბამისობა“.
რამდენადაც, ავტორიზაციის დებულების თანახმად, ამ საკითხზე მსჯელობა და გადაწყვეტილების მიღება ავტორიზაციის საბჭოს უფლებამოსილებაა, საბჭოს გაცნობებთ ამ ფაქტის შესახებ და ვთვლით, რომ არსებობს ობიექტური, გასათვალისწინებელი გარემოებები, რასაც, ვფიქრობთ, საბჭოც გაითვალისწინებს დაწესებულებისთვის ავტორიზაციის გაუქმების/არგაუქმების შესახებ საბჭოს გადაწყვეტილების მიღებისას და შესაძლებლობას მისცემს ცენტრს და კოლეჯს, გაგრძელდეს ადმინისტრაციული წარმოება და მიეცეთ ექსპერტებს საშუალება მონიტორინგის გზით შეაფასონ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის მეორე სტანდარტის 2.2. კომპონენტი და საბჭოს წარუდგინონ შესაბამისი დასკვნა, განაცხადა სამსახურის უფროსმა.

კახაბერ ერაძემ გააკეთა კომენტარი, მან აღნიშნა, რომ ცენტრის ანგარიშზე თანხა აისახა დაგვიანებით, ამის მიზეზების კვლევა საბჭოს არც პრეროგატივა და არც კომპეტენციაა. დებულების თანახმად, აღნიშნულ სიტუაციაში საბჭო უფლებამოსილია იმსჯელოს კოლეჯისთვის ავტორიზაციის ჩამორთმევაზე. მან საბჭოს წევრებს განუმარტა, რომ ამ შემთხვევაში მათ უნდა იმსჯელონ კოლეჯის ავტორიზაციის გაუქმების თაობაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ქონდათ.

საბჭომ თავმჯდომარემ დამსწრეებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ საბჭომ მიიღო სამსახურის შუამდგომლობა კოლეჯ ლაკადასთან დაკავშირებით, არ ჩათვალა მიზანშეწონილად, ემსჯელა კოლეჯის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით. საბჭომ მიიჩნია, რომ შესაძლებელი იყო სამსახურს გაეგრძელებინა მონიტორინგის ადმინისტრაციული წარმოება კოლეჯთან მიმართებაში.

1. შპს - „არსისთვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცია (სააფთიაქო)“ დამატების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ დავით კუპატაძემ, რომელიც დისტანციურ ვიზიტზე იმყოფებოდა დარგის ექსპერტ მზია ბაკურიძესთან ერთად. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფს დაევალა „ფარმაცია (სააფთიაქო)“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010წლის 1 ოქტომბრის #99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება. ვიზიტი ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ წარმოების ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილი იქნა ცენტრის მიერ გამოგზავნილი დაწესებულების დოკუმენტაცია და დამატებით საჭირო გახდა რამდენიმე დოკუმენტის გამოგზავნა, რაც დაწესებულებამ უზრუნველყო.

2020 წლის 3 დეკემბერს წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით განხორციელდა დისტანციური გასაუბრება კოლეჯთან. განრიგის დაცვით მოხდა გასაუბრება დაწესებულების დირექტორთან, ხარისხის მართვის მენეჯერთან, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან, მოდულების განმახორციელებლებთან და პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენელთან.

მონიტორინგის ფარგლებში შემოწმდა დაწესებულების მატერიალური ბაზა, საგანმანათლებლო პროგრამის მატერიალური რესურსები, ბიბლიოთეკაში არსებული პროგრამით გათვალისწინებული შესაბამისი ფონდი.

ექსპერტმა საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია წინა ადმინისტრაციული წარმოების დროს გაცემულ რეკომენდაციებზე და აღნიშნა რომ დაწესებულებას შესრულებული ჰქონდა ყველა რეკომენდაცია.

რეკომენდაცია 1: დაწესებულების ვებ-გვერდზე ატვირთული დოკუმენტები წარმოდგენილი იყო ვორდის ფაილში, უსაფრთხოებისა და დაცვის მიზნით დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, დოკუმენტაცია მოემზადებინათ პედეეფ ან სხვა მსგავს ფორმატში, რომლის მარტივად დაზიანება შეუძლებელი იქნებოდა, რაც შესრულებულია.
რეკომენდაცია 2: მოდულური საგანმანათლებლო პროგრამის ზოგად და დარგობრივ პროფესიულ მოდულებში, სასწავლო რესურსი მითითებულია გაურკვევლად, ანუ გადაბმულად, სიტყვებისა და ასოების გამოტოვების გარეშე, რაც რთულად იკითხება და ძნელად გასააზრებელია. შესაბამისად, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, აღნიშნული დოკუმენტაციის ტექნიკურად გამოსწორების შესახებ, რაც შესრულებულია.

რეკომენდაცია 3: პირველადი სამედიცინო დახმარებისათვის აუცილებელი საშუალებები და პაციენტის გასასინჯი (სამანიპულაციო) მაგიდა განთავსებულია სხვადასხვა ოთახში. რეკომენდებულია, პირველადი დახმარებისათვის აუცილებელი ყველა საშუალება განთავსდეს ამ მიზნისათვის გამოყოფილ ერთ ოთახში. რაც შესრულებულია

რეკომენდაცია 4: დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია თითოეულ პოზიციაზე, საშტატო განრიგის მიხედვით საკვალიფიკაციო მოთხოვნების გაწერის შესახებ, რათა თანამშრომლის დაქირავების პროცესი უფრო გამჭვირვალედ წარიმართოს. რაც ასევე შესრულებულია.

რეკომენდაციების წარდგენის შემდეგ ექსპერტთა თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დაწესებულების პროგრამის შესახებ ინფორმაცია. პროგრამის დასახელებაა „ფარმაცია (საფთიაქო)“, პროფესიული განათლების დონე - მეხუთე, მისანიჭებელი კვალიფიკაცია - უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში. დაწესებულება მდებარეობს ქ.რუსთავი, შარტავას გამზ.#4-ში.

ექსპერტმა ასევე ისაუბრა პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობაზე, მან აღნიშნა, რომ დაწესებულებას პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მოთხოვნილი აქვს 32 სტუდენტი, ეს არის 2 წელზე გათვლილი და ერთ სასწავლო წელზე ითხოვს 16 პროფესიულ სტუდენტს.
დაწესებულებას აქვს ორი პრაქტიკის ობიექტი, ეს არის ,,ემ-ფარმას“ 3 ფილიალი, სადაც განახორციელებს პროგრამას და ‘’იბერიაფარმა+’’ -ის 2 ფილიალი. კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისათვის არის - 120 კრედიტი, ხოლო არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 150 კრედიტი.

ექსპერტმა წარადგინა პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი და როგორც აღნიშნა 2.1. კომპონენტის, 2.1.1. კრიტერიუმის ფარგლებში გამოვლინდა ხარვეზი, კერძოდ, ინდიკატორი 4 არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში: „ფარმაცევტული საქმიანობის ორგანიზაციის საფუძვლები“ (0911025), „სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების, გარემოსა და უსაფრთხოების წესების დაცვა ფარმაცევტულ დაწესებულებაში“ (0911021), „მცირე შეფუთვებად მზა წამლების ფორმების დაფასოება - შეფუთვა, მარკირება“ (0911012), „მორფოლოგიის და მემკვიდრეობის საბაზისო საკითხები“ (0911010), „ნივთიერებათა კლასიფიკაცია და მათი ფიზიკურ-ქიმიური თვისებები“ (0911013) მითითებული საგანმანათლებლო რესურსები ვერ უზრუნველყოფენ პროფესიული სტუდენტების მიერ პროგრამით გათვალისწინებული მოდულების სწავლის შედეგების მიღწევას. კერძოდ, ძირითად ლიტერატურად გამოყენებული მარეგულირებელი დოკუმენტები არის ძალა დაკარგული.

თავჯდომარემ დამაზუსტებელი კითხვით მიმართა ექსპერტს, საუბარი ეხებოდა მხოლოდ მარეგულირებელ დოკუმენტებს, თუ სხვა ლიტერატურასაც, რაზეც ექსპერტმა დააზუსტა, რომ მოდულებში ძირითად ლიტერატურად, რომლითაც პროფესიული სტუდენტი შედეგზე უნდა გადიოდეს, ასახულია მარეგულირებელი დოკუმენტები, რომლებიც ამ დროისთვის ძალადაკარგულია.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ აღნიშნულ ხარვეზთან დაკავშირებით გაცემული იქნა შესაბამისობის რეკომენდაცია,რაც ითვალისწინებს, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულების განხორციელებისათვის გათვალისწინებული საგანმანათლებლო რესურსები მოყვანილ იქნეს შესაბამისობაში მოდულის სწავლის შედეგებთან.

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა განმავითარებელი რეკომენდაციები:
კრიტერიუმი 2.2.1. (3) პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს ჩაუტარდეთ დამატებითი ტრენინგი კომპეტენციებზე დაფუძნებულ სწავლებასა და შეფასებების მიმართულებით.
კრიტერიუმი 2.4.2. (2) შპს „არსი“-ს სასწავლო პროცედურათა წესი/დებულებათა კრებული/ სტუდენტთა ცნობარი/ (ბრძ. N 1- 1-60, 26.10.2020) VI თავის, ბ) ქვეპუნქტი და პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულური პროგრამის) შემუშავების წესი და დამტკიცების პროცედურა; პროგრამის მოდიფიცირების/ან მასში ცვლილებების შეტანის და გაუქმების წესი (ბრძანება N 1-18, 25.04.2016) მეხუთე თავის კ) პუნქტი ერთმანეთის თანხვედრაში უნდა იქნას მოყვანილი.

შემდეგ ისაუბრა დარგის ექსპერტმა. მან აღნიშნა, რომ ფარმაციის პროგრამა და ფარმაცია მთლიანად, არის კანონქვემდებარე, ყველაფერი გაწერილია კანონმდებლობით და ამიტომ ამ კანონების ცოდნა აძლევს პროფესიულ სტუდენტს საშუალებას, რომ სწავლის შედეგებზე გავიდეს.

თავჯდომარემ კითხვით მიმართა დარგის ექსპერტს, გარდა იმ დოკუმენტაციისა, რომელიც სამართლებრივად სავალდებულოა ამ მოდულების განსახორციელებლად, არის თუ არა სხვა სავალდებულო ლიტერატურა, რომელიც აუცილებელია სწავლის შედეგების მიღწევისათვის. არსებობს თუ არა სამართლებრივად დარეგულირებული და დაურეგულირებელი, მაგრამ შესაბამისად ლიცენზირებული სასწავლო მასალები, რაზედაც დარგის ექსპერტმა უპასუხა, რომ 5 - დან 3 მოდულში არის კანონებზე საუბარი და მათ კანონქვემდებარე აქტებზე, რომელიც აუცილებელია და ლიტერატურაში უნდა იყოს მითითებული, რომ სწავლის შედეგზე გავიდეს და ორი მოდული რჩება იმისათვის, რომ სხვა ლიტერატურით უნდა მოხდეს სწავლის შედეგზე გასვლა.

დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულების მხრიდან არგუმენტირებულ წერილში იყო საუბარი იმაზე, რომ ამ ლიტერატურით გადის სწავლის შედეგებზე, მაგრამ ერთ-ერთ მოდულში - „ნივთიერებათა კლასიფიკაცია და მათი ფიზიკურ-ქიმიური თვისებები (0911013)“ გათვალისწინებული საგანმანათლებლო რესურსები ვერ უზრუნველყოფენ პროფესიული სტუდენტების მიერ პროგრამით გათვალისწინებული მოდულების სწავლის შედეგების მიღწევას. დაწესებულებამ წარმოადგინა ლიტერატურა, რომელიც ამ შედეგზე გასაასვლელად აუცილებელია, მაგრამ ის არ ჰქონდათ შეტანილი მოდულში.

ვიზიტის დროს ექსპერტების მიერ გაიცა რეკომენდაცია, დაემატოს სავალდებულო ლიტერატურა (რომელსაც დაწესებულება ფლობს) „ქიმიური ექსპერიმენტის ტექნიკა“, ელიზბარ ელიზბარაშვილი, თბილისი 2012, რომელიც უზრუნველყოფს მოდულის სტანდარტულ ნაწილში მითითებული სწავლის მე-4, მე-5, მე-6 და მე-7 შედეგების სრულყოფილ მიღწევას.

საბჭოს თავჯდომარემ მიმართა დარგის ესპერტს, ესაუბრა თუ არა პროგრამის ხელმძღვანელს ამ საკითხებთან დაკავშირებით, რაზეც დარგის ექსპერტმა უპასუხა, რომ ესაუბრა, მათაც აღნიშნეს, რომ ეს წიგნი გამორჩათ მხედველობიდან, მიუხედავად იმისა, რომ ბიბლიოთეკაში ჰქონდათ.

საბჭოს წევრმა, მაგდა ბოლოთაშვილმა ჰკითხა დარგის ექსპერტს, გამომდინარე იქედან, რომ კოლეჯმა შეიტანა ცვლილება და მოხდა ლიტერატურის იდენტიფიცირებაც, საჭირო იყო თუ არა განხორცილებულ ცვლილებებზე კიდევ მსჯელობა, რაზედაც მარიამ ჩაგელიშვილმა

გააკეთა კომენტარი და აღნიშნა, რომ საჭიროა, ვინაიდან ეს იძლევა სრულ სურათს თუ რა მდგომარეობა დახვდათ ექსპერტებს ავტორიზაციის ვიზიტისას. აქვე აღნიშნა, რომ ამ პროცედურებს გრძელვადიანი მოსამზადებელი პერიოდი უძღვის წინ, რისთვისაც ემზადება დაწესებულება და შესაბამისად მნიშვნელოვანია მათ შესაფასებლად.

საბჭოს წევრი ქრისტინა რზგოევა დაინტერესდა, იმ შემთხვევაში, თუ არ მოხდება ძალადაკარგული აქტების ამოღება, არის თუ არა შესაძლებელი სწავლის შედეგების მიღწევა.

დარგის ექსპერტმა საბჭოს წევრის შეკითხვას უპასუხა, რომ ძალადაკარგული აქტების ჩანაცვლება აუცილებლად უნდა მოხდეს სწავლის შედეგის მისაღწევად.

საბჭოს წევრი, ნინო ველთაური დაინტერესდა სასწავლო პროგრამა ავტორიზაციას პირველად გადიოდა თუ არა, დარგის ექსპერტმა უპასუხა, რომ დაწესებულებას პროგრამის დამატებაზე 3 წლის წინ ჰქონდა ადმინისტრაციული საქმისწარმოება პროგრამის დამატებისთვის, აღნიშნული პროგრამა კი ძალიან განსხვავდება წინა საგანმანანთლებლო პროგრამისგან. ნინო ველთაურის შემდეგი კითხვა იყო - როდესაც პროგრამის სასწავლო მასალას განსაზღვრავს დაწესებულება, აქვს თუ არა რაიმე სტანდარტი, რის მიხედვითაც ის ხელმძღვანელობს, თუ რა უნდა იყოს ის მინიმუმი სასწავლო მასალა, რაც აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს თუ მას სურს სასწავლო შედეგზე გასვლა. აღნიშნულზე კომენტარი გააკეთა დარგის ექსპერტმა და საბჭოს წევრს უპასუხა, რომ არსებობს. არის სახელმწიფო ფარმაკოპია, რომლის პირველი ტომი მიღებულ იქნა 1998 წელს, ხოლო მეორე ტომი 2003 წელს, დაწესებულებას კი წარმოდგენილი ჰქონდა 1967 წლის ფარმაკოპია.

საბჭოს წევრმა, ნინო ველთაურმა გააკეთა კომენტარი რეკომენდაციებთან დაკავშირებით. მისთვის საყურადღებო იყო ის, რომ დაწესებულება ელოდებოდა ექსპერტთა ჯგუფს, მაგრამ გამორჩა ის მომენტი, რომ განეახლებინა სამართლებრივი აქტები. რეკომენდაციაში უნდა იყოს მითითებული, რომ მთავარია დაწესებულებამ შეიმუშაოს ისეთი სისტემა, რომ მსგავსი პრობლემის წინაშე მეორედ არ დადგეს, ზოგადად ასეთი სახის რეკომენდაციები არის ძალიან მნიშვნელოვანი. მისი შეფასებით, მნიშვნელოვანია შეუსაბამობის მიზეზის კვლევა და მიზეზის აღმოფხვრა. მისთვის ცხადი გახდა, რომ დაწესებულებას ამ შემთხვევაში სჭირდება ისეთი სისტემა, რომ მსგავსი უზუსტობები აღარ გაეპაროს.

საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ ის გაეცნო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას, სადაც საუბარი იყო, რომ მასწავლებლებლებმა გაიარეს გადამზადება, თუმცა ზოგიერთ მათგანს არ ჰქონდა ზუსტი ინფორმაცია შეფასების სისტემის შესახებ, რაც ძალიან მნიშვნელოვანი კომპონენტია. მართალია დაწესებულებამ აღნიშნა, რომ კიდევ ჩაუტარდებოდათ გადამზადება, მაგრამ ეს ხომ არ მიგვანიშნებს იმაზე, რომ პირველი გადამზადება არა ეფექტური იყო. ხომ არ არის საჭირო გაიცეს რეკომენდაცია გადაიხედოს გადამზადების ტრენინგის შინაარსი.

საბჭოს თავმჯდომარე დაეთანხმა საბჭოს წევრის მოსაზრებას.

საბჭოს წევრმა შორენა ჯაფარიძემ კომენტარი გააკეთა, და ასევე მადლობა გადაუხადა ექსპერტებს დეტალურად შესწავლილ და ჩაშლილად წარმოდგენილი დასკვნისთვის და აღნიშნა, რომ მიზეზების გამოკვლევა ძალიან მნიშვნელოვანია და შესაძლებელია რჩევაც მიეცეს ექსპერტებს, რომ ასეთ შემთხვევაში როდესაც დოკუმენტაცია არ არის, გამოვიკვლიოთ კარგად, რა მექანიზმებით ხდება ვთქვათ, დოკუმენტების შემოწმება, არის თუ არა ეს გაწერილი სადმე დაწესებულების რეგულაციაში, ვინ არის ამაზე პასუხისმგებელი, და ასე შემდეგ და შესაბამისად მექანიზმები გამოვიკვლიოთ და ამ ტიპის რეკომენდაცია მივცეთ დაწესებულებას და არა რეკომენდაცია, რომ შეცვალოს რაღაც, ჩაამატოს და ასე შემდეგ. მან ასევე კითხვით

მიმართა დარგის ექსპერტს, თუ რითი განსხვავდებებოდა ძველი რეგულაციები და ახალი რეგულაციები. თუ უმნიშვნელო სხვაობაა, შესაძლებელი ხომ არ იყო, რომ ექსპერტებს შეეფასებინათ ეს, როგორც არა შეუსაბამობა, არამედ მეტწილი ან ნაწილობრივ შესაბამისობა. მისი აზრით, ეს არის ძალიან მკაცრი შეფასება ამ კომპონენტის. როდესაც ყველაფერი დანარჩენი ჰქონდა დაწესებულებას წესრიგში.

აღნიშნულ საკითხზე საბჭოს თავმჯდომარემაც გააკეთა კომენტარი, მან აღნიშნა, რომ მეტწილი და ნაწილობრივ შესაბამისობით შეფასება დებულებით დასაშვებია, როცა გარკვეულ ვადაში მოახერხებს დაწესებულება შეუსაბამობის გამოსწორებას. მას აინტერესებდ,ა დაინახა თუ არა ექსპერტმა გამოსწორების შესაძლებლობა გარკვეულ ვადებში. აღნიშნულზე დარგის ექსპერტმა უპასუხა, რომ ვინაიდან ამ დარგის შესწავლა კანონებზე და დებულებებზეა დამყარებული, მისი მოსაზრებით აქ ვერ დაუშვებდა მეტწილ ან ნაწილობრივ შესაბამისობას.

საბჭოს წევრ მარიამ ჩაგელიშვილის კითხვა იყო პრაქტიკის განმახორციელებელ დაწესებულებებეთან დაკავშირებით, მას აინტერესებდა რა ტიპის შეთანხმების დოკუმენტზე დაყრდნობით ხორციელდება თანამშრომლობა დაწესებულებასა და პარტნიორ დაწესებულებას შორის და რამდენად დეტალურად იყო აღწერილი ამ პრაქტიკული მოდულების მათთან განცხორციელება, მას ასევე აინტერესებდა შეფასების მიდგომების ცოდნის ნაკლოვანებასთან დაკავშირებით, მას აინტერესებდა ამაში დარგობრივი მოდულების განმახორციელებელ პროფესიულ მასწავლებლებს მოიაზრებს თუ ზოგადი მოდულების.

დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური რესურსი და დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მატერიალური რესურსის ჩამონათვალი უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. დაწესებულებას გაფორმებული აქვს თანამშრომლობის ხელშეკრულება პრაქტიკის ობიექტებთან, რომლის ფარგლებშიც ორივე (შპს „ემ ფარმა“ და შპს „იბერიფარმა+“) სააფთიაქო ქსელი იღებს ვალდებულებას პროგრამით გათვალისწინებული 8 (რვა) პროფესიული მოდულის პრაქტიკული ნაწილის განხორციელებას. პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებულ თანამშრომლობის ხელშეკრულებებს ახლავს მოდულის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის ნუსხა. ხელშეკრულების დანართით დგინდება პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით სწავლის შედეგის მიღწევის უზრუნველყოფა და გარანტიები, პროფესიული სტუდენტის რაოდენობის გათვალისწინებით. ასევე ისაუბრა განმახორციელებლებზე, რომ ისინი ტრენინგებს საჭიროებდნენ, გამომდინარე იქედან, რომ ისინი იცნობდნენ წინა შეფასების ინსტრუმენტების შექმნის შესახებ ინფორმაციას, მისი შეფასებით, ფარმაციის პროგრამა განსხვავებულია წინა, ფარმაცევტის თანაშემწის პროგრამისგან, ეს პროგრამა სხვა მიდგომებს საჭიროებს, ამიტომ ჩათვალა ექსპერტთა ჯგუფმა, რომ საჭირო იყო დამატებითი ტრენინგების ჩატარება.

დარგის ექსპერტის შემდეგ, დაწესებულების წარმომადგენელმა გააკეთა კომენტარი, მან მადლობა გადაუხადა საბჭოს და ექსპერტთა ჯგუფს და ისაუბრა აღნიშნული საქმის წარმოებაზე. ნორმატიულ დოკუმენტებთან დაკავშირებით, რომლებიც დღეს არის ძალადაკარგული აღნიშნა, რომ შემუშავების დროს ამოვიდნენ მოდულებიდან, რომელიც არის სანიმუშოდ გამოქვეყნებული VET.GE-ზე და იქ ძალიან ბევრ მათგანში, როგორც სტანდარტულ ჩანაწერში ძალიან ბევრგან ნორმატიული დოკუმენტები არის მითითებული, დაწესებულებამ ვალდებულად ჩათვალა საკუთარი თავი, რომ არ აცდენილიყო მოდულის სტანდარტულ ჩანაწერებს და ეს დოკუმენტაცია ყოფილიყო შეტანილი.

მარიამ ჩაგელიშვილმა აგრეთვე იკითხა, ჰყავდა თუ არა პროგრამას შესაბამისი დარგობრივი კომპეტეციის მქონე ხელმძღვანელი და როგორ შეიძლება უშვებდეს შესაბამისი დარგობრივი

კომპეტეციის ხელმძღვანელი, რომ ექვსი მოდულიდან სამ მოდულში მითითებული კანონქვემდებარე აქტები არ არის აქტუალური და არ არის თანამედროვე რედაქცია მითითებული და დანარჩენ სამ მოდულში, როდესაც არის მითითებული ისეთი წყაროები, რომელთა ახალი ვერსიაც არსებობს და ამის რედაქტირებული ვერსია 2003 წელს არის გამოშვებული. მას აიინტერესებდა, შესაძლებელი იყო თუ არა შესაბამისი დარგობრივი კომპეტეციის მქონე პროგრამის ხელმძღვანელს ეს გამოპარვოდა.

საბჭოს წევრის კითხვას დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ პროგრამაში მოცემულია კანონები, რაც მითითებულია მოდულის სტანდარტულ ჩანაწერებში და სწორედ აქედან ამოვიდა დაწესებულება პროგრამის შემუშავების დროს.

კიდევ ერთი დამაზუსტებელი კითხვით მიმართა მარიამ ჩაგელიშვილმა დაწესებულების წარმომადგენელს, მას აინტერესებდა, თავად იცოდა თუ არა, რომ არსებობდა განახლებული კანონმდებარე აქტები,რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ იცოდა, მაგრამ დაეყრდნენ VET.GE-ზე არსებულ ინფორმაციას.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე გააკეთა კომენტარი, ის ეთანხმება დარგის ექსპერტს, რომ ლაბორატორიული სამუშაოების სახელმძღვანელოები არ ჰქონდათ მითითებული, მხოლოდ თეორიული ნაწილის სახელმძღვანელოები ჰქონდათ მითითებული, თუმცა აღნიშნა, რომ ეს სახელმძღვანელოები ადგილზე მათ ბევრი აქვთ, ესენია ფარმაცევტული ქიმიის ლაბორატორიული სამუშაოების სახელმძღვანელო, ასევე აქვთ ელიზბარ ელიზბარაშვილის ქიმიური ექსპერიმენტების სახელმძღვანელო, მზა წამალთა ფორმების პრაქტიკული ნაწილი, და სხვა.
პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა გააკეთა კომენტარი და ისაუბრა სტანდარტებთან მეტწილი და ნაწილობრივი შესაბამისობის შეფასებებზე და აღნიშნა, რომ მეტწილ შესაბამისად ფასდება კომპონენტი, როდესაც ამ კომპონენტის ფარგლებში არის სუსტი მხარეები, რომლის აღმოფხვრა დაწესებულების მხრიდან შესაძლებელია მოკლე ვადაში, ეს არის 6 თვის ვადა, მაგრამ ამისთვის აუცილებლად დაწესებულება უნდა ხედავდეს ამ სუსტ მხარეებს და თან ერთვოდეს მის განაცხადს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც რესურსებითაა გამყარებული, ხოლო თუ არსებობს ასეთი სუსტი მხარეები და გაუმჯობესება შესაძლებელია მხოლოდ 18 თვის პერიოდში, მაგრამ ამასაც ხედავს დაწესებულება და წარმოადგენს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმას, ამ შემთხვევაში ექსპერტს შეუძლია კომპონენტი შეაფასოს, როგორც ნაწილობრივ შესაბამისი. დამატებით აღნიშნა, რომ ორივე შემთხვევაში დაწესებულება უნდა ხედავდეს ხარვეზს და უნდა იყოს თანხვედრაში ექსპერტის შეფასებასთან. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ დაწესებულება ამას თვითშეფასებაში ვერ ხედავს და ვერ ავლენს საკუთარ სუსტ მხარეებს ექსპერტის გარეშე, ასეთ შემთხვევაში ექსპერტის დასკვნა არის უფრო წონადი, თუ როგორ შეაფასებს ის ამა თუ იმ კომპონენტს.
მან ასევე საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის შეფასების ფარგლებში, აუცილებელია შეფასება იყოს ან სრული შესაბამისობა ან მეტწილი შესაბამისობა, ნაწილობრივი შესაბამისობის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის დამატებაზე არ მიიღება დადებითი გადაწყვეტილება.
ასევე მან განმარტება გააკეთა საბჭოს წევრებისთვის, მან აღნიშნა, რომ თუ საკანონმდებლო რეგულაცია შეიცვალა, დაწესებულება უფლებამოსილია პროგრამის შედგენის დროს სტანდარტულ ჩანაწერებში შეიტანოს ცვლილება და ჩაანაცვლოს ძველი რეგულაცია ახლით. მან კიდევ ერთხელ განმარტა, რომ დაწესებულებას შეეძლო და ვალდებულიც იყო სრული უფლებამოსილებით განეხორციელებინა ჩასწორება. მან დაამატა, რომ აღნიშნულ საკითხზე წერილიც არის გაგზავნილი ყველა ავტორიზებულ დაწესებულებასთან სამსახურის მიერ, 2020 წლის 18 აგვისტოს.

საბჭოს თავჯდომარემ დამაზუსტებელი კითხვა დაუსვა სამსახურის უფროსს, შეიძლება თუ არა გეგმის წარმოდგენა ექსპერტების ვიზიტის შემდეგ თუ მანამდე, რაზეც სამსახურის უფროსმა განმარტა, რომ ექსპერტების ვიზიტის შემდეგ არ არის უფლებამოსილი საბჭო, რომ განიხილოს წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ეს არის დოკუმენტები, რომელიც არის ნაწილი თვითშეფასების ფორმისა.

საბჭოს თავმჯდომარეს აინტერესებდა, მიუხედავად გეგმის არარსებობისა, ყოფილა თუ არა შემთხვევა მონიტორინგის ჩანიშვნის, რაზეც სამსახურის უფროსმა აღნიშნა, რომ საწყის ეტაპებზე იყო შემთხვევები, როცა შესაბამისობის გეგმა არ იყო წარმოდგენილი სრულყოფილად, თუმცა ვიზიტების პროცესში ხდებოდა ამ გეგმის შემუშავება, კონკრეტულ შემთხვევაში ამის მცდელობას ადგილი არ ჰქონია.

აღნიშნული დაადასტურა დარგის ექპერტმა.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორის, ნინო სტეფანიშვილის მოსაზრებითაც, რომელმაც ასევე დაადასტურა, რომ ყოფილა შემთხვევები, როდესაც გეგმა მონიტორინგის პროცესში შექმნილა, სხვა შემთხვევაში, თუ გეგმა არ არსებობს მოქმედი ავტორიზაციის სტანდარტების თანახმად, ითვლება რომ კომპონენტი არის შეუსაბამო.

დაწესებულების წარმომადგენელმა გააკეთა კომენტარი და აღნიშნა, რომ დაწესებულება ელოდებოდა საბჭოს რეკომენდაციას, რომ მიიღებდა მითითებებს გეგმის გაწერისთვის. მან ისაუბრა კოლეჯის წარმატებულ თანამშრომლობაზე პარტნიორებთან, და მიმართა საბჭოს თხოვნით, გადაწყვეტილების მიღებისას გაეთვალისწინებინათ აღნიშნული გარემოება.

თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა ექსპერტებს და დაწესებულების წარმომადგენლებს და საბჭომ გამოიყენა სათათბირო დრო.

კენჭისყრამდე სხდომა დატოვეს საბჭოს წევრებმა სერგო ნოზაძემ და მარიამ ქუჩულორიამ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს „არსისათვის“ „ ფარმაციის (სააფთიაქო)“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 0
წინააღმდეგი: 11

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, უარი ეთქვას შპს „ არსს“ (ს/კ: 216427999) განახორციელოს „ფარმაციის (სააფთიაქო)“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.

2. სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „მასაჟისტ-რეაბილიტატორი“ განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა

3. სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „ბეჭდური და ონლაინ გამოცემების რეპორტიორი“ განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა

ორივე საკითხის წარმდგენი იყო ნინო ხაჩიძე, რომელმაც საბჭოსგან თანხმობა ითხოვა, ერთად წარედგინა ორივე დასკვნა, რადგან ბევრი ანალოგიური საკითხი იყო დასკვნებში, რაზეც დაეთანხმა საბჭოს თავმჯდომარე.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნებს. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ნინო ხაჩიძემ, რომელიც დისტანციურ ვიზიტზე იმყოფებოდა დარგის ექსპერტებთან თამილა გრძელიშვილთან და ბესარიონ ორმოცაძესთან ერთად. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანებების საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფებს დაევალა, სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „მასაჟისტ-რეაბილიტატორი“ და „ბეჭდური და ონლაინ გამოცემების რეპორტიორის “ განხორც იელების ადგილის/ფართის ცვლილების გამო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით დადგენილ სტანდარტების „ბ.ბ“ და „ბ.დ“ კომპონენტებთან და ე) ქვეპუნქტით დადგენილ სტანდარტების „ე.ა“ და „ე.ბ“ კომპონენტებთან დაწესებულების შესაბამისობის შეფასების განხორციელება დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით. გამომდინარე იქიდან, რომ სტანდარტთა კომპონენტების შეფასება ხორციელდებოდა დისტანციურად, დაწესებულებიდან დამატებით გამოთხოვილ იქნა სტანდარტების შესაფასებლად საჭირო დოკუმენტები. მათ შორის, საგანმანათლებლო პროგრამა, მოდულის განმახორციელებელი პირების პირადი საქმეები, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რეგულაციები და სხვა.

ექსპერტმა განმარტა, რომ 2020 წლის 13 ნოემბერს კოლეჯის მიერ ცენტრში წარდგენილ იქნა განაცხადი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ადგილის/ფართის ცვლილების სესახებ. კოლეჯის საწყის ფაქტობრივ მისამართს წარმოადგენდა ჭავჭავაძის გამზირი #49, უნივერსიტეტის შენობის მესამე სართული იყო მათთვის განკუთვნილი, თუმცა უნივერსიტეტმა 2 წლის წინ მოითხოვა სამხარაულის ექსპერტის ბიუროდან შენობის მდგრადობის დასკვნა და დასკვნის საფუძველზე გაირკვა რომ, შენობა არ არის მდგრადი და შესაბამისად შეიცავს რისკებს ადამიანის უსაფრთხოების კუთხით, აქედან გამომდინარე, კოლეჯმა დაიწყო ახალი ფართის ძიების პროცესი. სწორედ აღნიშნული გარემოებები გახდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების მიზეზი. კოლეჯმა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დახმარებით მოიძია ფართი, გააფორმა საიჯარო ხელშეკრულება 2020 წლის 1 ოქტომბერს, რომლის მოქმედების ვადად განისაზღვრა 2022 წლის 01 ოქტომბრამდე

პერიოდი. ინტერვიუირებით ასევე ირკვევა, რომ სახელმწიფოს მიერ 2021 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია 8 მილიონი, რომელიც პარლამენტის მიერ დამტკიცდება უახლოეს პერიოდში. აღნიშნული თანხა მოხმარდება კოლეჯის შენობის მშენებლობას, ხოლო მშენებლობის პროცესის დასრულება იგეგმება წელიწადნახევარში. შესაბამისად, იჯარის ხელშეკრულება ამ მიზნით არის გაფორმებული 2 წლით. ასევე, ის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებიც ხორციელდება დაწესებულების მიერ, არის მილევად რეჟიმში და მათი დასრულება ამ პერიოდშივე არის შესაძლებელი. საიჯარო ხელშეკრულებით ირკვევა, რომ კოლეჯს საერთო ფართიდან 410 კვ.მ გადაეცა დროებით სარგებლობაში. ასევე, წარმოდგენილია საჯარო რეესტრიდან ამონაწერი. შენობა-ნაგებობის შიდა აზომვითი ნახაზით და ვიზუალური დათვალიერებით ირკვევა, რომ თეორიული და პრაქტიკული სწავლების აუდიტორიები, კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი სასწავლო ფართი (B გარემო), ადმინისტრაციული სივრცე პროფესიულ სტუდენტთა და საშტატო განრიგით გათვალისწინებულ მუდმივად მომუშავე ადამიანების რაოდენობის ადეკვატურია.

ცენტრის დირექტორის ბრძანებების შესაბამისად ორივე პროგრამის ფარგლებში მოხდა მეორე და მეხუთე სტანდარტების გარკვეული კომპონენტების შეფასება, მეორე სტანდარტის ფარგლებში კომპონენტების - ''საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსის'' და ''სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება''. ხოლო მეხუთე სტანდარტის ფარგლებში - ''მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა'' და '' საინფორმაციო რესურსები''.
ექსპერტმა საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ, კერძოდ:
მასაჟისტ-რეაბილიტატორის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, 11 პროფესიული სტუდენტი ჰყავს კოლეჯს, ჰყავთ 4 პროფესიული განათლების მასწავლებელი, სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. დაწესებულებას აქვს ორი ურთიერთ თანამშრომლობის ხელშეკრულება გაფორმებული პრაქტიკის ობიექტებთან და მოქმედების ვადა 2026 წლამდეა. თითოეული პრაქტიკის ობიექტი უზრუნველყოფს თითო ჯერზე მაქსიმუმ 10 პროფესიული სტუდენტის მიღებას. ხოლო ბეჭდური და ონლაინ გამოცემების რეპორტიორის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე 18 პროფესიული სტუდენტი ჰყავს, აქედან 9 პირველ კურსზე და 9 მეორე კურსზე. ამ პროგრამაზე ჰყავთ 10 პროფესიული განათლების მასწავლებელი, სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. გენერალური ხელშეკრულება გაფორმებულია გაზეთ ''ლელო''-სთან რომელიც მოქმედია 2026 წლამდე, და აღნიშნული ხელშეკრულებაც ითვალისწინებს თითო ჯერზე 10 პროფესიულ სტუდენტის მიღებას.

ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ აღნიშნული ორივე პროგრამის შემთხვევაში, ორი პროგრამის განხორციელებისთვის არის გათვალისწინებული პრაქტიკის ობიექტი, ეს არის გაცნობითი პრაქტიკა და საწარმოო პრაქტიკა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ისაუბრა ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში დაფიქსირებულ ხარვეზებზე, კერძოდ ხარვეზი დაფიქსირდა 5.1.1. კომპონენტში, აღნიშნული სტანდარტის ინდიკატორი ამბობს, რომ დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით. გამომდინარე იქედან, რომ 2019 წელს დაწესებულებას ავტორიზაცია 6 წლის ვადით მიენიჭა. ხოლო საიჯარო ხელშეკრულება მოქმედია 2022 წლის 01 ოქტომბრამდე, სტანდარტის აღნიშნული ინდიკატორის მოთხოვნა - დაწესებულების საქმიანობის შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით უზრუნველყოფა მინიმუმ ავტორიზაციის ვადით, არ არის დაკმაყოფილებული. შესაბამისად, სტანდარტი ფასდება როგორც - **არ შეესაბამება.**

ექსპერტმა ისაუბრა რეკომენდაციებზეც, მან საბჭოს მოახსენა, რომ მონიტორინგის ფარგლებში არ გაცემულა შესაბამისობის რეკომენდაცია, მაგრამ გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია, რომელთაგანაც ექსპერტმა გამოყო შემდეგი:

- სიცოცხლის ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის პირობების დაცვასთან დაკავშირებული ზოგადი ინსტრუქცია და უსაფრთხოების უზრუნველყოფის, წესრიგის დაცვისა და პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი ნაწილობრივ ფარავს ერთმანეთს, და სასურველია შემუშავდეს ერთიანი წესი, რომელიც დამატებით შესაძლოა მოიცავდეს სახანძრო უსაფრთხოების ზომებს და ხანძრის პირობებში ევაკუაციის უზრუნველყოფისათვის პერსონალის მოქმედების ინსტრუქციებს. სახანძრო უსაფრთხოებასთან დაკავშირებით ინსტრუქციის შემუშავება, ასევე მოთხოვნილია სახელმწიფო სახანძრო და სამოქალაქო უსაფრთხოების ზედამხედველობის მიერ.
- სასურველია პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებულ ხელსეკრულებაში იკვეთებოდეს, რომ პრაქტიკის ობიექტი იღებს ვალდებულებას ხელშეკრულებით განსაზღვრული მოდულების ფარგლებში უზრუნველყოს პრაქტიკული სწავლებისთვის უსაფრთხო გარემო.
- ვერიფიკაციის მექანიზმებთან დაკავშირებით, სასურველია რომ ვერიფიკაციის მექანიზმი დამატებით მოიცავდეს შერჩევის პრინციპს, მოცულობას, რისკების სისტემას და ვერიფიკაციის პროცესის დეტალურ აღწერას, შესაძლოა ასევე შემუშავდეს სამოქმედო გეგმა შემდგომი ნაბიჯებისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაწესებულების დირექტორს, თუ რატომ არ შეიძლებოდა საიჯარო ხელშეკრულების გაფორმება ახალ ფართთან დაკავშირებით, 2025 წლამდე, რაზედაც დაწესებულების დირექტორმა უპასუხა, რომ მათ უკვე აქვთ გაფორმებული ხელშეკრულება 6 წლით და ამის დოკუმენტები არსებობს და საჯარო რეესტრშიც არის გატარებული. დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წევრებს წარმოუდგინა დოკუმენტი, ამონაწერი რეესტრიდან, სადაც დასტურდება დაწესებულების მიერ მიწოდებული ინფორმაცია. რაც საბჭომ ჩათვალა ხარვეზის გამოსწორების დადასტურებად.

სამსახურის უფროსმა, ნანი დალაქიშვილმა გააკეთა კომენტარი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია დაწესებულების სამომავლო ბედის შესახებ და აღნიშნა, რომ სამინისტროდან დაუდასტურეს, რომ 2021 წლიდან დაიწყება პროექტირება და მაშინვე სამშენებლო სამუშაოები, რაც გულისხმობს ფართით უზრუნველყოფის შესაძლებლობას.

ასევე დაწესებულების დირექტორმა გააკეთა კომენტარი ძველი მისამართის გამოყენებასთან დაკავშირებით, მან აღნიშნა, რომ ამ მისამართზე არის სხვა შენობა და სპორტული ბაზები, რომლებიც რისკის ქვეშ არ არის და იქ იმყოფება დირექტორის მოადგილე და ტარდება პრაქტიკული მეცადინეობები.
თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.
კენჭისყრის დაწყებამდე საბჭოს წევრმა დეა აბულაძემ დატოვა სხდომა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის „მასაჟისტ-რეაბილიტატორის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 10
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, განხორციელდეს სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის (ს/კ: 202949159) „მასაჟისტ-რეაბილიტატორის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება **(დანართი1)**

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის „ბეჭდური და ონლაინ გამოცემების რეპორტიორის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 10
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, განხორციელდეს სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის (ს/კ: 202949159) „ბეჭდური და ონლაინ გამოცემების რეპორტიორის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება **(დანართი 2).**

4. სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „მწვრთნელი“ - განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა
5. სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „სამთო გამყოლი“ - განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ ცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ლევან მადათოვმა, რომელიც დისტანციურ ვიზიტზე იმყოფებოდა დარგის ექსპერტ ნინო ბალანჩივაძესთან ერთად. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანებების საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფებს დაევალა, სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „მწვრთნელი“ და „სამთო გამყოლი“ განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების გამო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით დადგენილ სტანდარტების „ბ.ბ“ და „ბ.დ“ კომპონენტებთან და ე) ქვეპუნქტით დადგენილ სტანდარტების „ე.ა“ და „ე.ბ“ კომპონენტებთან დაწესებულების შესაბამისობის შეფასების განხორციელება დისტანციურად.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტს, ვინაიდან ერთი და იმავე დაწესებულებაზეა საუბარი, პრეზენტაციის წარდგენისას ესაუბრა მხოლოდ განსხვავებაზე.

ესპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს მოახსენა, რომ ორივე პროგრამა, რომლის შეფასებაც დაევალათ ექსპერტებს არის საგნობრივი, მილევად რეჟიმში. თუმცა ეს ავტორიზაციის დროს არც გამხდარა განხილვის საგანი, შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფი დაეყრდენო პირველ რიგში იმ დოკუმენტაციას, რაც იყო გამოთხოვილი და შემოწმდა, ცვლილება ხომ არ იყო განხორციელებული. ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პრაქტიკის განმახორციელებელ პერსონალს და ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ ადგილის/ფართის ცვლილება არ გამოიწვევს მილევად რეჟიმში პროგრამების განხორციელების შეფერხებას.

თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის „მწვრთნელის(სახეობების დაკონკრეტებით)“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 10
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, განხორციელდეს სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის (ს/კ: 202949159) „მწვრთნელის(სახეობების დაკონკრეტებით)“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება **(დანართი 3)**.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის „სამთო გამყოლის“პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 10
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, განხორციელდეს სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის (ს/კ: 202949159) „სამთო გამყოლის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება **(დანართი 4)**.

საბჭოს სხდომა დასრულდა 19:20 საათზე.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ყუფუნია ნანა

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ბოლოთაშვილი მაგდა

დანართი 1

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების დონე/საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	პროფესიული სტუდენტების ფაქტობრივი რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	მასაჟისტ-რეაბილიტატორი (1)	მეხუთე საფეხური	მასაჟისტ-რეაბილიტატორის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 090656	114	144	ქართული	23	ქ. თბილისი, ნინოშვილის ქ. №55

(1) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;

(2) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში (დუალური).

დანართი 2

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების დონე/ საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტების ათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტების ათვის	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	ბეჭდური და ონლაინ გამოცემების რეპორტიორი (1)	მეოთხე საფეხური	ბეჭდური და ონლაინ გამოცემების რეპორტიორის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 070355	110	140	ქართული	21	ქ. თბილისი, ნინოშვილის ქ. №55

(1)- აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;

(2)- აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში (დუალური).

დანართი 3

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა	სწავლების ენა	სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	მწვრთნელი (სახეობების დაკონკრეტებით)	მეოთხე	მწვრთნელის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 112151	120	ქართული	220	ქ. თბილისი, ნინოშვილის ქ. №55
						52	ქ. ქუთაისი, ბ. გაპონოვის ქ. №11

დანართი 4

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა	სწავლების ენა	სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	სამთო გამყოლი	მეხუთე	სამთო გამყოლის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 112059	120	ქართული	14	ქ. თბილისი, ნინოშვილის ქ. №55